# FIBA VENUE RULES

FIBA EUROBASKET
CZECH REPUBLIC • GEORGIA • ITALY • GERMANY

## 1. GENERAL PRINCIPLES

1.1 For the purposes of these rules, a **Person** shall be defined as any person attending or intending to attend any event or competition of FIBA (**"Event"**) regardless of whether such person holds a valid admission certificate in the form of an official ticket (**"Ticket"**) or official accreditation (**"Accreditation"**).

1.2 These rules apply as soon as a Person enters any premises used for an Event, including any possible security perimeter (**"Venue"**). They shall apply until such Person has left all Venues.

1.3 The full text of these rules shall be available for download at an official FIBA and/or Event website. It may also be displayed at the entrance of a Venue and/or be available at Ticket or Accreditation offices.

1.4 If a Person does not comply in any way and for any reason with these rules, s/he may not be permitted to enter or may be evicted from a Venue by Event staff, security personnel and/or law enforcement representatives, at their sole discretion. Additionally, s/he may be subject to any applicable measures imposed by law enforcement representatives as per applicable laws.

1.5 Should a Person not be allowed to enter a Venue or be evicted from a Venue in relation to any non-compliance with these rules, s/he shall automatically lose any right to re-enter a Venue and shall have no right to reimbursement of any costs and expenses incurred in relation with the respective Event, including but not limited to Ticket costs.

1.6 Persons who are banned by public or sporting authorities from attending sporting events may be forbidden to purchase a Ticket or obtain an Accreditation or to enter a Venue.

1.7 Use of a Ticket or Accreditation by a minor is presumed to be made with the acceptance of these rules by his/her parents or guardians.

## 2. BASIC TERMS AND CONDITIONS

2.1 A Person must at all times:

a. Comply with these rules, which shall require compliance also with the FIBA General Statutes and Internal Regulations, other rules and decisions issued by FIBA as well as any other applicable rules (e.g. state law, etc.);
b. Follow any instruction given by law enforcement representatives, Event staff, security personnel, and/or other duly authorised persons;
c. Hold a Ticket or an Accreditation as well as an official personal document with a photo allowing identification (**"ID"**);
d. Consent to controls, body searches and possible removal or confiscation of objects that are not allowed in a Venue by applicable laws or these rules.

2.2 A Person under the influence of alcohol, narcotics or any behaviour-modifying substance shall not be allowed to enter a Venue and may be evicted from a Venue.

2.3. A Person shall not be allowed to:

a. Throw any objects or substances, or to set objects or substances on fire;
b. Act aggressively or in any way that may jeopardise security, public health, public order, the uninterrupted continuation of the Event or the reputation of FIBA and/or the Event's organiser (**"Organiser"**);
c. Make any declarations, statements or other actions that display a nationalistic, political, religious, ethnic or racist message or are in FIBA's reasonable decision not fit for a sporting competition (**"Prohibited Messages"**);
d. Act in any way that may trigger violence, racism, religious disputes or xenophobia;
e. Engage in any form of betting or activities related to betting in connection with the Event;
f. Threaten others' lives and safety or act in an offensive manner;
g. Climb on the seats or any other structure inside a Venue;
h. During the games, stay in an area other than that designated on such Person's Ticket or Accreditation, including any aisles or areas alongside the basketball court;
i. Smoke, except in especially designated areas, if any;
j. Record or transmit any sound, moving or still image or description or any result or statistics of the Event, including without limitation those of players, coaches and officials, other than for private use, unless officially authorised by FIBA and holding appropriate Accreditation to the Event;
k. Be involved in any way in the dissemination of any sound, moving or still image, description, result or statistic of the Event, in whole or in part, for any sort of public access, irrespective of the transmission form, whether over the internet, radio, television, mobile phone, data accessory or any other current and/or future media (now known or hereinafter invented and/or devised);
l. Engage in any form of activity which may result in unauthorised commercial activity inside a Venue, including but not limited to unauthorised association with the official Event marks, FIBA and its commercial partners;
m. Use, wear, possess or hold promotional or commercial objects and materials, or offering to sell, or possessing with the intent to sell, drinks, food, souvenirs, clothes, or other promotional and/or commercial items within a Venue. All such items may be removed or confiscated by FIBA or the Organiser;
n. Provide any type of commercial service or undertake any commercial promotions in a Venue.

2.4 Subject to applicable laws, by entering a Venue a Person is deemed to:

a. Agree that FIBA or third parties authorised by FIBA may use free of charge or any compensation the Person's voice, image, photograph and likeness by means of live or recorded video display, broadcast, streaming or other transmission or recording, photographs or any other current and/or future media technologies (now known or hereinafter invented and/or devised) in a commercial or non-commercial manner, for the maximum duration permitted by law, in any format and through any type of media but excluding the use which implies individual endorsement by the Person of any commercial entity, product or service;
b. Waive all rights and actions seeking to oppose the exploitation described in paragraph 2.4.a above. FIBA (and third parties authorised by FIBA with respect to the use of such media) shall be bound by, and comply with, all applicable laws with respect to any use they may make of such media.

## 3. PROHIBITED AND RESTRICTED ITEMS

3.1 The following items are prohibited and may not be allowed into a Venue at the sole discretion of FIBA, the Organiser, Event staff, security personnel, law enforcement representatives or other authorised persons:

a. <u>Dangerous items</u>
   i. Poles (e.g. flag poles) of hard material and/or longer than 1 meter;
   ii. Glass bottles larger than 100ml (excluding medication contained in glass bottles);
   iii. All types of knives and bladed items, including pocket knives and knives carried as part of cultural dress;
   iv. Weapons or implements such as bayonets, flick knives, extendable batons, sharpened combs, modified belt buckles and loose blades modified into weapons;
   v. Items that resemble dangerous items such as replica guns or hoax explosive devices;
   vi. Firearms and ammunition (including replicas, component parts or any device suspected to be a firearm);
   vii. Personal protection sprays such as CS or pepper sprays;
   viii. Fireworks, explosives, flares and smoke canisters;
   ix. Balls, rackets, frisbees or any other objects which may be used as projectiles;
   x. Large "golf-style" umbrellas;
   xi. Hazardous and toxic materials;
   xii. Any other item reasonably considered as dangerous.

b. <u>Liquids</u>
   i. Alcoholic drinks. Restrictions may apply to soft drinks and water for commercial (e.g. certain categories may not be allowed if commercialised exclusively in the Venue) or security (e.g. bottle cap may be removed from all bottled liquids) reasons;
   ii. Liquids, aerosols and gels in quantities greater than 100ml.

c. <u>Photographic and broadcast equipment</u>
   Any video/broadcast or other image capturing equipment including without limitation reflex cameras, tripods and monopods.

d. <u>Other items</u>
   i. More than one soft-sided bag of max. 25-litre capacity (bag must be able to fit under the seat);
   ii. Laser pointers and strobe lights;
   iii. Noisemakers including without limitation hunting horns, air horns, klaxons, vuvuzelas and whistles;
   iv. Oversized hats;
   v. Any object or clothing bearing Prohibited Messages or disproportionate commercial identification or capable of being used for ambush marketing activity;
   vi. Tents, boards, signage, spray paint or any other item which could be used for in-Venue demonstration or for damaging property;
   vii. Walkie-talkies, phone jammers and radio scanners;
   viii. Personal/private wireless access points and 3G hubs (smart devices such as Android phones, iPhones and tablets are permitted inside a Venue, but must not be used as wireless access points to connect multiple devices);
   ix. Bicycles, folding bikes, roller-skates and skateboards;
   x. Animals, including without limitation pets (only official service animals are permitted);
   xi. Controlled drugs, including substances which look like controlled drugs;
   xii. Any other item which may disrupt competition, obstruct the view of other spectators or create a safety hazard, including without limitation any type of paper rolls (toilet paper, cash register rolls, confetti, etc.).

3.2 Persons carrying any of the items above will not be allowed to enter a Venue and, subject to applicable laws, may be required to be transferred to law enforcement facilities (e.g. police station).

3.3 Any usage of professional photographic or broadcast equipment is prohibited without the prior written authorisation of FIBA.

3.4 In addition to the items listed under 3.1 above, specific requirements apply to the following items, which may be allowed inside a Venue only after approval of the Venue security manager or other authorised personnel:

a. <u>Flags and banners</u>
   i. A Person in possession of a flag or a banner shall be required to prove that such flag or banner:
      o does not display a Prohibited Message;
      o (for flags and banners larger than 2m2) the material it is made of, is not flammable.

   If allowed, the Person in possession shall:
      o agree to usage terms with the security personnel;
      o bear full responsibility for the use of the flag or banner;
      o prove his/her identity with a valid passport or ID;
      o (if required) undersign a specific legal form.

   ii. Flags, other than the official flags of the countries of the teams participating in the Event or in the game, may not be allowed in a Venue at the sole discretion of the Event staff, security personnel and/or law enforcement representatives.

b. <u>Drums</u>
   In case of drums, the Person in possession shall prove that the drums:
      o are not closed (one end must be open);
      o are not made of a flammable material;
      o do not display a Prohibited Message.

   If allowed, the Person in possession shall:
      o bear full responsibility for the use of the drums;
      o prove his/her identity with a valid passport or ID;
      o (if required) undersign a specific legal form.

c. <u>Food</u>
   FIBA and the Organiser reserve the right to not allow food in a Venue.

3.5 If available at a Venue, a cloakroom/deposit may be used to temporarily hold items not allowed into the Venue, provided the security personnel agrees and the items do not create any safety hazard.

## 4. LIABILITY

4.1 In the event of an emergency, all persons in the Venue shall remain calm and follow the rules and instructions given by the Event staff, security personnel and/or any law enforcement representatives. FIBA and the Organiser shall bear no responsibility for consequences to lives, health and property to the maximum extent permitted by applicable law and particularly in case of non-compliance with the instructions provided.

4.2 Should a Person violate the fire safety rules (including violations caused by smoking in a Venue) and cause the fire alarm system to set off, FIBA and the Organiser shall bear no responsibility for any consequences due to such emergency evacuation, which shall be exclusively attributed to the Person.

4.3 FIBA and the Organiser shall bear no responsibilities for any harm to life, health and property of a person within the Venue to the maximum extent permitted by applicable law and particularly in case of a violation of these rules.

## 5. ACCREDITATIONS

In addition to the above provisions, the following apply to a Person who has received or is using an Accreditation (**"Holder"**), regardless if s/he is the same person as featured on the Accreditation:

5.1 An Accreditation is for personal use only and cannot be transferred to others. It must be worn visibly at all times.

5.2 The Holder is granted access rights only to the zones indicated on the Accreditation and shall use the designated entrances accordingly.

5.3 An Accreditation does not give the Holder the right to a seat in a Venue, even if the Holder has access to the respective zone. A valid Ticket is always necessary, unless authorised by FIBA and/or the Organiser.

5.4 Any misuse of an Accreditation (including without limitation unauthorised entrance into restricted zones or non-compliance with these rules) or engaging for any reason whatsoever in a dispute or argument with security and/or Event staff may result in the immediate withdrawal of the Accreditation by FIBA or the Organiser.

5.5 An Accreditation shall remain the property of FIBA and can be withdrawn at any time, with immediate effect, at FIBA's sole discretion.

5.6 If an Accreditation is lost, stolen or for any other reason not in the Holder's possession, the Holder shall immediately inform FIBA and/or the Organiser.

5.7 The Holder agrees that FIBA and the Organiser collect information about him/her and that this information is processed, used and stored by FIBA, the Organiser or a third party, for the purpose of organising the Event, other FIBA events, and for the promotion of basketball.

## 6. APPLICABLE LAW – JURISDICTION

6.1 The relationship, if any, between a Person on the one hand and FIBA, the Organiser and their respective representatives on the other hand, shall be regulated exclusively by Swiss law, without regard to its conflict of law rules.

6.2 Any and all disputes arising from or in connection with these rules or generally with a Person's attendance to an Event, shall be submitted exclusively to the courts of Lausanne, Switzerland.

# FIBA-ს რეგულაციები ღონისძიების ადგილის შესახებ

## 1. ზოგადი პრინციპები

1.1 აღნიშნული რეგულაციების თანახმად, პირად შეგვიძლია მივიჩნიოთ ნებისმიერი პირი, რომელიც ესწრება ან/და აპირებს დაესწროს FIBA-ს რომელიმე ღონისძიებას ან/და შეჯიბრს (შემდგომ ღონისძიება), მიუხედავად იმისა, ფლობს თუ არა ასეთი პირი დასწრების უფლების დამადასტურებელ მოქმედ საბუთს ბილეთის სახით (შემდგომ ბილეთი) ან ოფიციალურ აკრედიტაციას (შემდგომ აკრედიტაცია).

1.2 წინამდებარე წესები მოქმედებს ღონისძიებისთვის გამოყენებულ ნებისმიერ შენობაში პირის შემოსვლის მომენტიდან, უსაფრთხოების ნებისმიერი შესაძლო პერიმეტრის ჩათვლით (შემდგომ ღონისძიების ადგილი) და ძალაშია პირის მიერ ღონისძიების ადგილის დატოვების მომენტამდე.

1.3 წინამდებარე წესების სრული ტექსტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს FIBA-ს ან/და ღონისძიების ოფიციალურ ვებგვერდზე. წესები აგრეთვე შესაძლოა გამოიკრას ღონისძიების ადგილის შესასვლელთან ან/და ხელმისაწვდომი იყოს ბილეთების ჯიხურებსა და აკრედიტაციის ოფისებში.

1.4 თუ პირი რაიმე მიზეზით ან რამე სახით არ იცავს დადგენილ წესებს, მას შეიძლება არ მიეცეს ღონისძიების ადგილზე შესვლის უფლება ან მოხდეს მისი ღონისძიების ადგილიდან გაძევება ღონისძიების პერსონალის, უსაფრთხოების პერსონალის ან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ მათი შეხედულებისამებრ. გარდა ამისა, პირზე შესაძლოა გავრცელდეს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლის/წარმომადგენლების მიერ გატარებული ნებისმიერი სახის სამართლებრივი ღონისძიება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.5 იმ შემთხვევაში, თუ პირს არ დაუშვებენ ღონისძიების ადგილზე ან მოხდება მისი ღონისძიების ადგილიდან გაძევება წესების დარღვევის გამო, ის ავტომატურად დაკარგავს ღონისძიების ადგილზე ხელმეორედ შესვლის უფლებას, აგრეთვე ღონისძიების ფარგლებში გაღებული ნებისმიერი თანხის ანაზღაურების უფლებას, მათ შორის, ბილეთების თანხის ანაზღაურების უფლებასაც.

1.6 პირებს, რომლებსაც საჯარო ან სპორტული პერსონალის მიერ აკრძალული აქვთ სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება, შესაძლოა აგრეთვე აეკრძალოთ ბილეთების შესყიდვა, აკრედიტაციის მიღება, ან/და ღონისძიების ადგილზე შესვლა.

1.7 არასრულწლოვანის მიერ ბილეთის ან/და აკრედიტაციის გამოყენებისას ივარაუდება, რომ მას აქვს მშობლების ან მეურვეების თანხმობა აღნიშნულის შესახებ.

## 2. ძირითადი წესები და პირობები

2.1 პირი ვალდებულია ყოველთვის:
- ა. დაიცვას წინამდებარე წესები, რომლებიც შესაძლოა აერთიანებდეს FIBA-ს გენერალურ სტატუტებს და შიდა რეგულაციებს, აგრეთვე FIBA-ს სხვა წესებს, გადაწყვეტილებებს და სხვა ისეთ წესებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა (მაგ. სახელმწიფო კანონმდებლობა და ა.შ);
- ბ. დაიცვას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების, ღონისძიების პერსონალის, უსაფრთხოების პერსონალის ან/და სხვა სათანადოდ უფლებამოსილი პირების მიერ მიღებული ნებისმიერი მითითება;
- გ. ჰქონდეს ბილეთი ან სხვა ტიპის აკრედიტაცია და ოფიციალური პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელზეც იქნება დატანილი პირის ფოტო, რომლითაც შესაძლებელი იქნება მისი ამოცნობა;
- დ. განაცხადოს თანხმობა კონტროლის გავლაზე, სხეულის შემოწმებასა და ისეთი ნივთების კონფისკაციაზე, რომელთა შეტანაც დაუშვებელია ღონისძიების ადგილას წინამდებარე წესების ან სხვა კანონების საფუძველზე.

2.2 ღონისძიების ადგილზე არ დაიშვება ან შესაძლოა გაძევდეს პირი, რომელიც იქნება ნარკოტიკული, ალკოჰოლური ან სხვა ტიპის თრობის ქვეშ.

2.3. პირს ეკრძალება:
- ა ნებისმიერი ნივთის/სუბსტანციის სროლა ან/და ცეცხლის წაკიდება;
- ბ. აგრესიული ან ისეთი ტიპის ქცევა, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას უსაფრთხოებას, ჯანდაცვას, საჯარო წესრიგს, ღონისძიების მსვლელობას, FIBA-ს ან/და ღონისძიების ორგანიზატორის (შემდგომ ორგანიზატორი) რეპუტაციას;
- გ. ნაციონალისტური, პოლიტიკური, რელიგიური, რასისტული ან ისეთი განცხადებების გაკეთება, რომელიც FIBA-ს მიერ მიღებული გონივრული გადაწყვეტილების შედეგად არ შეეფერება სპორტული ღონისძიების სტანდარტებს (შემდგომ აკრძალული განცხადებები);
- დ. ისეთი ქმედების ჩადენა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ძალადობა ან შუღლი რასისტულ, რელიგიურ ან ქსენოფობიურ ნიადაგზე;
- ე. დადოს ღონისძიებასთან დაკავშირებული ფსონები ნებისმიერი ფორმით
- ვ. საფრთხე შეუქმნას სხვათა სიცოცხლეს და უსაფრთხოებას ან მიაყენოს სხვებს შეურაცხყოფა;
- ზ. აძვრეს სკამებზე ან ღონისძიების ადგილის შიგნით არსებულ ნებისმიერ კონსტრუქციაზე;
- თ. თამაშის მსვლელობის დროს, მის ბილეთში/აკრედიტაციის დოკუმენტში მითითებული ადგილის გარდა ნებისმიერ სხვა სივრცეში ყოფნა, გასასვლელების ან კალათბურთის მოედნის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით;
- ი. მოწევა ნებისმიერ სივრცეში გარდა მოსაწევი ზონებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- კ. პირადი მოხმარების გარდა, სხვა მიზნით ჩაიწეროს ან გაავრცელოს ღონისძიების ნებისმიერი ხმოვანი ფაილი, ვიდეო, ფოტო, ან ღონისძიების აღწერა ან მისი სტატისტიკა, რომელიც ასახავს მოთამაშეებს, მწვრთნელებს, ღონისძიების სხვა ოფიციალურ პირებს, გარდა იმ შემთხვევებისა თუ აქვს FIBA-ს მიერ გაცემული ოფიციალური უფლება აღნიშნულის შესახებ;
- ლ. რაიმე სახით იყოს ჩართული ნებისმიერი ხმოვანი ფაილის, ვიდეოს, ფოტოს, ღონისძიების აღწერის ან/და მისი სტატისტიკის საჯაროდ გავრცელებაში, მიუხედავად გავრცელების ფორმისა, იქნება ეს ინტერნეტით, რადიოთი, ტელევიზიით, მობილური ტელეფონით, ინტერნეტ-მოწყობილობით, ან რაიმე ტიპის ინფორმაციის გადამცემით (რომელიც არ არის ცნობილი მოცემულ მომენტში ან რომლის გამოგონებაც მოხდა შემდგომ);
- მ. ჩაერთოს რაიმე სახის ისეთ საქმიანობაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არაავტორიზებული კომერციული აქტივობა ღონისძიების ადგილზე, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ ისეთი აქტივობა, რომელიც იწვევს უნებართვო ასოცირებას ღონისძიების ოფიციალურ სიმბოლოებთან, FIBA-თან და მის კომერციულ პარტნიორებთან;
- ნ. ღონისძიების ადგილას სარეკლამო ან კომერციული ნივთების და მასალების გამოყენება, ტარება, ფლობა ან შენახვა, ან ასეთი ნივთების ფლობა და გამოყენება სასმელების, საკვების, სუვენირების, ტანსაცმლის, სარეკლამო და/ან კომერციული ნივთების გაყიდვის მიზნით. FIBA და ორგანიზატორი უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ყველა ასეთი ნივთის ამოღება და კონფისკაცია;
- ო. გასწიოს ნებისმიერი სახის კომერციული მომსახურება ან ჩაატაროს ნებისმიერი ტიპის კომერციული აქცია ღონისძიების ადგილზე.

2.4 მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ღონისძიების ადგილას შესვლის მომენტში ივარაუდება, რომ:
- ა. პირი აცხადებს თანხმობას, რომ FIBA-მ ან FIBA-ს მიერ უფლებამოსილმა მესამე მხარეებმა კომერციული ან არაკომერციული მიზნებისთვის, კანონმდებლობით დადგენილი მაქსიმალური ხანგრძლივობით, უსასყიდლოდ გამოიყენონ პირის ხმა, გამოსახულება ან ფოტოსურათი ვიდეო ჩანაწერის ჩვენებით ან პირდაპირი ტრანსლაციის გზით, აგრეთვე სტრიმინგის ან ფოტოსურათების გავრცელების გზით იქნება ეს ინტერნეტით, რადიოთი, ტელევიზიით, მობილური ტელეფონით, ინტერნეტ-მოწყობილობით, ან რაიმე ტიპის ინფორმაციის გადამცემით (რომელიც არ არის ცნობილი მოცემულ მომენტში ან რომლის გამოგონებაც მოხდა შემდგომ), გარდა ისეთი გადაცემისა, რომელიც მოითხოვს კონკრეტული კომერციული დაწესებულების, პროდუქტის ან მომსახურების წარმომადგენელი პირის მიერ თანხმობას.
- ბ. პირი აცხადებს უარს ყველა იმ უფლებასა თუ ქმედებაზე, რომელიც ხელს უშლის 2.4 მუხლით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებას. FIBA (და FIBA-ს მიერ მედია მასალის გამოყენების შესახებ უფლებამოსილი მესამე მხარეები) ვალდებულნი არიან დაიცვან ასეთი ტიპის მედია მასალების გამოყენებასთან დაკავშირებული არსებული კანონმდებლობა.

## 3. აკრძალული ნივთები

3.1 ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთების ღონისძიების მოედანზე შეტანა აკრძალულია და დასაშვებია მხოლოდ FIBA-ს, ორგანიზატორის, ღონისძიების პერსონალის, უსაფრთხოების პერსონალის, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ან სხვა უფლებამოსილი პირების ნებართვით:
- ა. სახიფათო ნივთები
  - ii. მყარი მასალის ჯოხები (მაგ. დროშის ტარი) ან/და ჯოხები, რომელთა სიგრძეც 1 მეტრზე მეტია;
  - iii. მინის ბოთლები, რომელთა მოცულობა 100 მლ-ზე მეტია (ბოთლში მოთავსებული მედიკამენტების გარდა);
  - iv. ნებისმიერი ტიპის დანები და ბასრი საგნები, მათ შორის ჯიბის დანები და ისეთი დანები, რომლებიც წარმოადგენს კულტურული სამოსის ნაწილს;
  - v. იარაღი ან ისეთი მოწყობილობები, როგორიცაა ხიშტები, გასაშლელი დანები, გასაშლელი ხელკეტები, გალესილი ჯაგრისები, მოდიფიცირებული ქამრის ბალთები და ცივ იარაღად გადაკეთებული ბასრი პირები;
  - vi. სახიფათო ნივთების მსგავსი ისეთი ნივთები, როგორიცაა იარაღის რეპლიკები ან ასაფეთქებლები;
  - vii. ცეცხლსასროლი იარაღი და ტყვია-წამალი (მათ შორის რეპლიკები, შემადგენელი ნაწილები ან ნებისმიერი სხვა მოწყობილობა, რომელიც შეიძლება ცეცხლსასროლ იარაღად ჩაითვალოს);
  - viii. დამცავი სპრეები, მაგ. ქიმიური ან წიწაკის სპრეები;
  - ix. ფეიერვერკები, ფეთქებადი ნივთიერებები, ჩირაღდნები და თხევადი კვამლის ქილები;
  - x. ბურთები, ჩოგნები, ფრისბი და სხვა ისეთი ნივთები, რომელთა სროლაც შესაძლებელია;
  - xi. დიდი ქოლგები;
  - xii. სახიფათო და ტოქსიკური ნივთიერებები;
  - xiii. ნებისმიერი სხვა ნივთი, რომელიც გონივრულად შესაძლებელია სახიფათოდ ჩაითვალოს.
- ბ. სითხეები
  ალკოჰოლური სასმელები. შეზღუდვები აგრეთვე შესაძლოა გავრცელდეს გამაგრილებელ სასმელებსა და წყალზეც, კომერციული (მაგ. შესაძლოა აკრძალული იყოს გარკვეული ტიპის სასმელების ღონისძიების ადგილზე შეტანა, თუ მათი კომერციალიზაცია ექსკლუზიურად ღონისძიების ადგილზე მიმდინარეობს) ან უსაფრთხოების (შესაძლოა აუცილებელი გახდეს ყველა ბოთლის თავსახურის მოხსნა) მიზნებიდან გამომდინარე.
  სითხეები, აეროზოლები და გელები, რომელთა მოცულობაც 100 მლ-ზე მეტია.
- გ. ფოტოგრაფიული და სამაუწყებლო აღჭურვილობა
  ნებისმიერი ვიდეო/სამაუწყებლო ან სხვა გადამღები მოწყობილობა, მათ შორის რეფლექსური კამერები, სამფეხები და მონოპოდები.
- დ. სხვა ნივთები
  - ii. ერთზე მეტი, მაქს. 25 ლიტრიანი ტევადობის რბილი, ცალმხრივი ჩანთა (ჩანთა უნდა მოთავსდეს სავარძლის ქვეშ);
  - iii. ლაზერული მაჩვენებლები და სტრობული ნათურები;
  - iv. ხმაურის შემქმნელები, მათ შორის სანადირო საყვირები, პორტატული საყვირები, კლაქსონები, ვუვუზელები და სასტვენები;
  - v. დიდი ზომის ქუდები;
  - vi. ნებისმიერი ობიექტი ან ტანსაცმელი, რომელზეც დატანილია აკრძალული შეტყობინებები ან არაშესაფერისი კომერციული საიდენტიფიკაციო აღნიშვნა, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას ჩასაფრებული მარკეტინგის მიზნებისთვის;
  - vii. კარვები, დაფები, ნიშნები, სპრეი - საღებავი ან ნებისმიერი სხვა ნივთი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ღონისძიების ადგილზე დემონსტრაციისთვის ან ქონების დასაზიანებლად;
  - viii. რაციები, ფიჭური კავშირის ჩამხშობები და რადიო სკანერები;
  - ix. პერსონალური/პირადი უსადენო წვდომის წერტილები და 3G ჰაბები (ისეთი ჭკვიანი მოწყობილობები, როგორიცაა ანდროიდ ტელეფონები, აიფონები და ტაბლეტები ნებადართულია ღონისძიების ადგილის შიგნით, მაგრამ არ უნდა მოხდეს მათი, როგორც უსადენო წვდომის წერტილების გამოყენება, მრავალი მოწყობილობის ერთმანეთთან დასაკავშირებლად);
  - x. ველოსიპედები, დასაკეცი ველოსიპედები, როლიკები და სკეიდბორდები;
  - xi. ცხოველები, მათ შორის შინაური ცხოველები (დაიშვებიან მხოლოდ პოლიციის ძაღლები);
  - xii. მედიკამენტები რომლებიც ექვემდებარება კონტროლს, მათ შორის ნივთიერებები, რომლებიც ჰგავს ასეთ მედიკამენტებს;
  - xiii. ნებისმიერი სხვა ნივთი, მათ შორის ნებისმიერი ტიპის ქაღალდის რულონი (ტუალეტის ქაღალდი, სალარო აპარატის რულონები, კონფეტი და ა.შ.) რომელმაც შეიძლება შეაფერხოს შეჯიბრის მსვლელობა, შეზღუდოს სხვა მაყურებლის ხედვა ან შეუქმნას სხვა მაყურებლის უსაფრთხოების საფრთხე.

3.2 პირები, რომლებიც ფლობენ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ ნივთს, არ დაიშვებიან ღონისძიების ადგილზე და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, შესაძლოა მოხდეს მათი გადაყვანა სამართალდამცავ დაწესებულებებში (მაგ. პოლიციის განყოფილებაში).

3.3 აკრძალულია პროფესიონალური ფოტოგრაფიული ან სამაუწყებლო აღჭურვილობის ნებისმიერი გამოყენება FIBA-ს წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

3.4 პუნქტში ჩამოთვლილი საგნების გარდა, სპეციფიკური მოთხოვნები ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილ საგნებზე, რომელთა შეტანაც ღონისძიების ადგილას შესაძლოა მოხდეს მხოლოდ ღონისძიების ადგილის უსაფრთხოების მენეჯერის ან სხვა უფლებამოსილი პერსონალის თანხმობით:
- ა. დროშები და ბანერები
  პირი, რომელიც ფლობს დროშას ან/და ბანერს ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ამგვარი დროშა ან ბანერი:
  - არ ასახავს აკრძალულ გზავნილს ან შეტყობინებას;
  - არ არის დამზადებული აალებადი მასალისგან (2მ$^2$ -ზე დიდი ზომის დროშის შემთხვევაში).

  იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელიც ფლობს დროშას ან ბანერს დაიშვება ღონისძიების ადგილზე ვალდებულია, რომ ზემოხსენებული ნივთების გამოყენება შეათანხმოს უსაფრთხოების პერსონალთან;
  - აიღოს სრული პასუხისმგებლობა დროშის ან ბანერის გამოყენებაზე;
  - გაიაროს იდენტიფიკაცია მოქმედი პასპორტის ან ID ბარათის წარმოდგენით;
  - საჭიროების შემთხვევაში, ხელი მოაწეროს შესაბამის სამართლებრივ ფორმას.

  ნებისმიერი დროშა, გარდა ღონისძიებაში ან თამაშში მონაწილე გუნდების ქვეყნების ოფიციალური დროშებისა, შესაძლოა ღონისძიების პერსონალის, უსაფრთხოების პერსონალის და/ან სამართალდამცავი ორგანოების შეხედულებისამებრ არ დაიშვას ღონისძიების ადგილას.
- ბ. დოლები
  პირი, რომელიც ფლობს დოლს ვალდებულია დაამტკიცოს, რომ მის მფლობელობაში არსებული დოლი:
  - არ არის ორმხრივად დახურული (დოლის ერთი მხარე აუცილებლად უნდა იყოს ღია);
  - არ არის დამზადებული აალებადი მასალისგან;
  - არ ატარებს ან მასზე დატანილი არ არის აკრძალული გზავნილი ან შეტყობინებას;

  იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელიც ფლობს დოლს დაიშვება ღონისძიების ადგილას ვალდებულია, რომ:
  - აიღოს სრული პასუხისმგებლობა დოლის გამოყენებაზე;
  - გაიაროს იდენტიფიკაცია მოქმედი პასპორტის ან ID ბარათის წარმოდგენით;
  - საჭიროების შემთხვევაში, ხელი მოაწეროს შესაბამის სამართლებრივ ფორმას.
- გ. საკვები
  FIBA და ორგანიზატორი უფლებამოსილნი არიან აკრძალონ ღონისძიების ადგილას საკვების შეტანა.

3.5 თუ შესაძლებელია, დროებით ჩამორთმეული ნივთები შესაძლოა განთავსდეს ღონისძიების ადგილას არსებულ გარდერობში/საწყობში იმ შემთხვევაში, თუ უსაფრთხოების პერსონალი დაადასტურებს, რომ ამგვარი ნივთი არ აყენებს რისკის ქვეშ უსაფრთხოებას.

## 4. პასუხისმგებლობა

4.1 საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, ღონისძიების ადგილზე მყოფმა ყველა პირმა უნდა შეინარჩუნოს სიმშვიდე და დაიცვას ღონისძიების პერსონალის, უსაფრთხოების პერსონალის და/ან ნებისმიერი სამართალდამცავი წარმომადგენლის მითითებები. FIBA და ორგანიზატორი არ იღებენ პასუხისმგებლობას სხვების სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და საკუთრებაზე მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ მაქსიმალურ ფარგლებში და განსაკუთრებით მათი მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

4.2 იმ შემთხევაში, თუ პირი დაარღვევს სახანძრო უსაფრთხოების წესებს (მათ შორის, თუ ეს დარღვევა გამოწვეულია ღონისძიების ადგილზე მოწევით), რაც გამოიწვევს ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის გააქტიურებას, FIBA და ორგანიზატორი არ იღებენ პასუხისმგებლობას ასეთი გადაუდებელი ევაკუაციით გამოწვეულ შედეგებზე, რომელზე პასუხისმგებლობაც დაეკისრება მხოლოდ დამრღვევ პირს.

4.3 FIBA და ორგანიზატორი მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ მაქსიმალურ ფარგლებში არ იღებენ პასუხისმგებლობას იმ ზიანისთვის, რომელიც მიადგა პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და საკუთრებას ღონისძიების ადგილზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ზიანი გამოიწვია წინამდებარე წესების დარღვევამ.

## 5. აკრედიტაციები

ზემოაღნიშნული დებულებების გარდა, შემდეგი ეხება პირს, რომელმაც მიიღო ან იყენებს აკრედიტაციას (შემდგომ აკრედიტაციის მფლობელი), მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის პირი, რომელიც აკრედიტაციაშია მითითებული:

5.1 აკრედიტაცია გაიცემა მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის და დაუშვებელია მისი სხვებისთვის გადაცემა. სავალდებულოა მისი მუდმივად და თვალსაჩინოდ ტარება.

5.2 აკრედიტაციის მფლობელს ენიჭება მხოლოდ აკრედიტაციაში მითითებულ ზონებში შესვლის უფლება და ვალდებულია ისარგებლოს შესაბამისი შესასვლელებით.

5.3 აკრედიტაცია არ ანიჭებს აკრედიტაციის მფლობელს დასაჯდომ ადგილს ღონისძიების ადგილზე მაშინაც კი, თუ მფლობელს აქვს კონკრეტულ ზონაში შესვლის უფლება. მოქმედი ბილეთის ქონა ყოველთვის სავალდებულოა გარდა იმ შემთხვევისა, თუ ბილეთის არ ქონა ნებადართულია FIBA-ს ან/და ორგანიზატორის მიერ.

5.4 აკრედიტაციის ნებისმიერი სახით ბოროტად გამოყენებამ (მათ შორის უნებართვო შესვლა შეზღუდულ ზონებში ან წინამდებარე წესების შეუსრულებლობა) ან უსაფრთხოებისა და/ან ღონისძიების პერსონალთან კონფლიქტმა, შესაძლოა გამოიწვიოს აკრედიტაციის დაუყოვნებლივ გაუქმება FIBA-ს ან ორგანიზატორის მიერ.

5.5 აკრედიტაცია წარმოადგენს FIBA-ს საკუთრებას და შესძლოა FIBA-ს შეხედულებისამებრ, დაუყოვნებლივ გაუქმდეს ნებისმიერ დროს.

5.6 აკრედიტაციის მოპარვის ან მფლობელისგან დამოუკიდებელი მიზეზით დაკარგვის შემთხვევაში, აკრედიტაციის მფლობელი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს FIBA-ს ან/და ორგანიზატორს.

5.7 აკრედიტაციის მფლობელი აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ FIBA-მ და ორგანიზატორმა შეაგროვონ მის შესახებ ინფორმაცია, დაამუშავონ, გამოიყენონ და შეინახონ ამგვარი ინფორმაცია FIBA-ს, ორგანიზატორის ან მესამე მხარის მიერ ღონისძიების ორგანიზების და კალათბურთის პოპულარიზაციის მიზნით.

## 6. მარეგულირებელი კანონმდებლობა — იურისდიქცია

6.1 ურთიერთობა პირს, FIBA-ს, ორგანიზატორსა და მათ წარმომადგენლებს შორის რეგულირდება ექსკლუზიურად შვეიცარიის კანომდებლობით, კოლიზიური ნორმების გათვალისწინების გარეშე.

6.2 წინამდებარე წესებიდან გამომდინარე ან პირის ღონისძიებაზე დასწრებასთან დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავას განიხილავს ექსკლუზიურად ლოზანას სასასამართლო შვეიცარიაში.